საქართველოს მთავრობის განკარგულება

№1045 2015 წლის 25 მაისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ნივთის ფიზიკურ პირ ირაკლი ქაფიანიძისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტისა და მე-10 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, მცხეთის მუნიციპალიტეტში, სოფელ ბიწმენდში მდებარე 12.4 ჰა სასოფლო-სამეურნეო (სახნავი) დანიშნულების მიწის ნაკვეთი (მიწის (უძრავი ნივთის) საკადასტრო კოდი: №72.04.02.379) პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 37 000 (ოცდაჩვიდმეტი ათასი) ლარის გადახდის სანაცვლოდ, საკუთრებაში გადაეცეს ფიზიკურ პირ ირაკლი ქაფიანიძეს (პ/ნ 01011008250).

2. საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 30 (ოცდაათი) კალენდარული დღის ვადაში;

ბ) შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უგვიანეს 2 (ორი) წლის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირის მეშვეობით:

ბ.ა) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ნივთის არანაკლებ 7 ჰა ფართობზე მრავალწლიანი ნარგავების გაშენება და ამავე მიზნით, ინფრასტრუქტურის შექმნა, მათ შორის, არანაკლებ 4 ჰა ფართობზე საირიგაციო სისტემის მოწყობა;

ბ.ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემული უძრავი ნივთის არანაკლებ 2 ჰა ფართობზე ერთწლიანი კულტურების მოყვანა;

ბ.გ) ამ პუნქტის „ბ.ა“ და „ბ.ბ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულების მიზნით, არანაკლებ 300 000 (სამასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

გ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გადაცემულ უძრავ ნივთზე ან/და მის ნაწილზე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ 2 (ორი) წლის განმავლობაში, ყოველწლიურად, არანაკლებ 6 (ექვსი) თვის ვადით, არანაკლებ 5 (ხუთი) ადამიანის დასაქმება;

დ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ნივთზე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში, ყოველი წლის დეკემბრის თვეში, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ინფორმაციის წარდგენა, ამ განკარგულების დანართის (ინფორმაციის) შესაბამისად;

ე) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ნივთზე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) წლის განმავლობაში, 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ, ნიადაგის ნაყოფიერებისა და ხარისხის შენარჩუნება-გაუმჯობესების გამოკვლევის მიზნით, ნიადაგის ანალიზის დამადასტურებელი დოკუმენტის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის წარდგენა.

3. სახელმწიფო ქონების შემძენი ვალდებულია, ამ განკარგულების მეორე პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული, საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის, შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე,

დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე წარადგინოს, ამავე განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ.გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, უზრუნველყოს კანონმდებლობით გათვალისწინებული, შესაბამისი ღონისძიებების განხორციელება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**

ინფორმაცია

საკუთრებაში/სარგებლობაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ფართობზე პირველადი პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია

ფიზიკური/იურიდიული პირი	
რეგისტრაციის თარიღი/საიდენტიფიკაციო კოდი	
იურიდიული მისამართი	

საკუთრებაში/სარგებლობაში არსებული ს/ს სავარგული სულ (მიუთითეთ ფართობი, სარწყავი/ურწყავი), მათ შორის:

ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობი და წარმოებული პროდუქციის რაოდენობა (კულტურების და სახეობების მიხედვით)

წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი)

მრავალწლოვანი კულტურების წარმოება (კულტურების და ჯიშების მიხედვით)

წარმოებული პროდუქციის რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი)

სილოსის და ცხოველთა საკვების წარმოება (ერთწლოვანი და მრავალწლოვანი კულტურები/ბალახები) ნათესი ფართობები და წარმოება

წარმოებული პროდუქციის მოხმარება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა და გასაღების ბაზარი)

საძოვარი (მიუთითეთ ფართობი და პირუტყვის (მსხვილფეხა (მათ შორის ფური)/წვრილფეხა) რაოდენობა) --- --- --- წარმოებული პროდუქციის წარმოება/რეალიზაცია (მიუთითეთ რაოდენობა პროდუქციის სახეობების მიხედვით (მათ შორის ცოცხალი პირუტყვი) და გასაღების ბაზარი) --- --- ---
რა სახის ღონისძიებები გაატარეთ ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების მიზნით? --- --- ---
გაიარეთ თუ არა კონსულტაციები? (ვისთან) ---